ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2615111

ნომერი: AR1405483

თარიღი : 18.05.2016

გაცემის თარიღი : 25.05.2016

გაცნობის თარიღი : 25.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გამყრელიძე პ/ნ 01009016937
- თბილისი. ზ. ფალიაშვილის ქ 39 ბ19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.08.2005 წ. #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18.05.2016 წ. #AR1405483 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მინდობილმა პირმა ირაკლი გამყრელიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.08.2005 წ. #ძ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირება, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ ქალაქ თბილისის

მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 05.08.2005 წ. #01.18.05.008.005 (ფართობი – 1863 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა #მ–10 არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.05.2010 წ. #2263 და 02.08.2013 წ. #823643 ბრძანებებით ცვლილება შევიდა ზემოთხსენებულ არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.18.05.008.140 ფართობი – 1855 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016228777, მომზადების თარიღი: 13.04.2016 წ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის კონფიგურაცია.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ˜ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.08.2005 წ. #მ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალება გაცემულია „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც სამშენებლო პასპორტში უნდა აისახოს ცვლილებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამშენებლო პასპორტში შეიტანოს ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #140 დადგენილების თანახმად,
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.08.2005 წ. #მ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებას დაემატოს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო ერთეული #01.18.05.008.140 ფართობი – 1855 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016228777, მომზადების თარიღი: 13.04.2016 წ.) საჯარო რეესტრიდან;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 05.08.2005 წ. #მ–10 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებასთან და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.05.2010 წ. #2263 და 02.08.2013 წ. #823643 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.